ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას
მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”. განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, რომლის თანახმადაც გამგებლის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს და გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი.

პატივისცემით,

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დადგენის შესახებ“

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის ,,დ.ი.“ ქვეპუნქტებთან და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივა-ტიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტთნ, რომლთა თანახმადაც მერის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*